2024 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს ველისციხის ავეჯი

(ს/კ 427737568)

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 4

1. ძირითადი საქმიანობა 4
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი 4
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 4
   3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები 5
   3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი 5
   3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 5
   3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება 6
   3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 6
   3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები 6
   3.7 ძირითადი საშუალებები 7
   3.8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 8
   3.9 ფინანსური ვალდებულებები 9
   3.10 კაპიტალი 9
   3.11 ამონაგების აღიარება 10
   3.12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 11
   3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები 11
   3.14 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო 12
   3.15 გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები 12
   3.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები 13

რისკების მართვა 13
ლიკვიდურობის რისკი 13
საწარმოს უწყვეტობის განხილვა 14
დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები: 15
სასამართლო დავები 15
საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები 15

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	3 791 960.00	3 449 845.00
საქონლის გაყიდვიდან	3 785 916.00	3 449 845.00
სხვა	6 044.00	-
გაყიდვების თვითღირებულება	-3 130 107.00	-2 834 874.00
საერთო მოგება	661 853.00	614 971.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	5 978.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 386 813.00	- 341 275.00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 35 299.00	- 24 054.00
საპროცენტო ხარჯი	- 147 235.00	- 131 695.00
იჯარის ხარჯი	- 50 847.00	- 49 555.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 115 958.00	- 80 127.00
სულ საოპერაციო ხარჯები	- 736 152.00	- 620 728.00
საოპერაციო მოგება	- 74 299.00	- 5 757.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	- 74 299.00	- 5 757.00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	- 74 299.00	- 5 757.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 74 299.00	- 5 757.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	613 636.00	852 752.00
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	835 725.00	- 233 359.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 375 062.00	613 636.00

ზაზა ბოსტოღანაშვილი

_____

დირექტორი

25 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	208 968.00	49 774.00	40 498.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 891.00	38 534.00	8 443.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფუ	421 495.00	7 497.00	22 201.00
მარაგები	604 763.00	401 995.00	678 802.00
მზა პროდუქცია	604 763.00	401 995.00	379 946.00
სხვა	-	-	298 856.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	350.00
ძირითადი საშუალებები	156 833.00	135 189.00	151 695.00
სულ აქტივები	1 393 950.00	632 989.00	901 989.00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	-	16 807.00	3 102.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 546.00	2 546.00	2 546.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	42 949.00
სხვა ვალდებულებები	16 342.00	-	640.00
სულ ვალდებულებები	18 888.00	19 353.00	49 237.00
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 569 214.00	733 489.00	971 685.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 194 152.00	- 119 853.00	- 118 933.00
სულ საკუთარი კაპიტალი	1 375 062.00	613 636.00	852 752.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 393 950.00	632 989.00	901 989.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	815 622.00	490 303.00	728 093.00

ზაზა ბოსტოღანაშვილი

_____

დირექტორი

25 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ველისციხის ავეჯი (შემდგომში „კომპანია“) არის 2018 წლის 08 ნოემბერს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გურჯაანის რაიონი, ს. ველისციხე, 36-ე ქ., N 37 რომელიც მისი მისამართია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით, სხვა ავეჯის წარმოება . კომპანიას ყავს ერთი 100%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირი ზაზა ბოსტოღანაშვილი, რომელიც ასევე კომპანიის დირექტორია.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში).
კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- 2021 წლამდე კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდებოდა მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანიამ ისარგებლა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად გამოცემული შეღავათი და არ წარადგინა ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი

გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
	-	
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6834
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

შენიშვნა 3

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
ნაღდი ფული სალაროში	23	17
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	156 866	48 432
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52 080	1325
	208 969	**49 774**

3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

შენიშვნა 4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 890	38 533
გადახდილი ავანსები	-	-
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	1	1
სულ	**1 891**	**38 534**

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

შენიშვნა 5
მარაგები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
იმპორტირებული საქონელი	239 025	78 194
ნედმეული და მასალები	184 642	129 955
დაუმთავრებელი წარმოება	2 940	3 358
მზა პროდუქცია	177 805	190 099
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	349	349
სულ	**604 764**	**401 995**

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 5-10 წელი

- ოფისის აღჭურვილობა 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანია უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის

მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ჯამი
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	-	-	170 365.00	28 744.00	199 109.00
შესყიდვა	-	-	54 779.00	2 164.00	56 943.00
გაყიდვა/ჩამოწერა	-	-			-
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	-	-	225 144.00	30 908.00	256 052.00
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	- -	47 424.00 -	16 496.00 -	63 920.00
ცვეთის ხარჯი	-	- -	29 478.00 -	5 821.00 -	35 299.00
გაყიდვა/ჩამოწერა	-			-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	-	- -	76 902.00 -	22 317.00 -	99 219.00
ნარჩენი ღირებულება					
31.დეკ.23	-	-	122 941.00	12 248.00	135 189.00
31.დეკ.24	-	-	148 242.00	8 591.00	156 833.00

3.8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
სავაჭრო ვალდებულებები	-	16 091
მიღებული ავანსები	7 776	76
გრძელვადიანი ნასესხები თანხები	-	-
სხვა ვალდებულებები	11 112	3 186
სულ	**18 888**	**19 353**

3.9 ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება

როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.
ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

3.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.
საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 569 214 ლარს.
კაპიტალის მართვის მიზნებია:
კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
• კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.
დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.
2024 წელს არ მომხდარა დივიდენდების გაცემა.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით საქონლის რეალიზაციიდან

ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/გაეწევა მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება.
ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე. ამონაგები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

3.12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

შენიშვნა 8

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
მიწოდების ხარჯი	(72 942)	(70 182)
საოფისე ინვენტარი	(2 175)	(1 158)
დაზღვევა	(860)	(1 600)
კომპიუტერის ხარჯები	(1 152)	(1 050)
არასაოპერაციო ხარჯი	-	-
სხვა ხარჯი	(38 829)	(6 137)
სულ	(115 958)	(80 127)

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

3.14 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.
კურსები წლების მიხედვით

3.15 გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალონ მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით გაანაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.
დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივების თანახმად, მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ს მთლიანი სურვილ ცვლილება, რომლის თანახმად დაიხვეწა ტერმინოლოგია და მოვიდა

ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში გარკვეულწილად. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2024 წლის იანვრის თვიდან.

3.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმ

დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში საწარმოს მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არა აქვს.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდება ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.